პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდის - personaldata.ge (შემდგომში - ვებგვერდი) მიერ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს.

აღნიშნულ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მონაცემების დამუშავების მიზნები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40[11] მუხლის „g" პუნქტის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის განხორციელების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლის მონაცემებს ამუშავებს შემდეგი აქტივობების პროცესში:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შეტყობინების მიღების დროს;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ჩასატარებელ ტრენინგებზე რეგისტრაციისას;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის წარმოებისას.

ასევე, ვებგვერდის მეშვეობით მიღებული მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესაძლოა, გამოყენებული იქნას სტატისტიკური ან/და ანალიტიკური მიზნებისთვის.

რა მონაცემებს ვაგროვებთ და რატომ?

ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემების უმეტესობა თავად მომხმარებლების მიერ არის მოწოდებული. ვებგვერდის მეშვეობით გროვდება შემდეგი მონაცემები:

- შეტყობინების მიღების პროცესში - მომხმარებლის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასევე, შეტყობინებაში და მასზე დართულ დოკუმენტაციაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები. ანონიმურობის მიზნით, სავალდებულოდ შესავსებია მხოლოდ შეტყობინების შინაარსის ველი;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ტრენინგზე რეგისტრაციის პროცესში - მომხმარებლის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სექტორი (კერძო თუ საჯარო). ყველა მითითებული ველის შევსება სავალდებულოა;

- ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის წარმოების პროცესში გროვდება მომხმარებლის შემდეგი მონაცემები - ორგანიზაციაში ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებაზე, განახლებასა და ელექტრონული ფორმით ინსპექტორისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ყველა მითითებული ველის შევსება სავალდებულოა.

მომართვაში (შეტყობინებაში) მითითებული გარემოებების შესწავლისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შეფასების, შესაძლო დარღვევის ფაქტის სრულყოფილი და დეტალური შესწავლის მიზნით, ასევე, განცხადების განხილვის ან/და შემოწმების შედეგად საჯარო/კერძო ორგანიზაციის/ ფიზიკური პირისათვის შესაბამისი დავალებ(ებ)ის ან/და რეკომენდაცი(ებ)ის გასაცემად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მომხმარებლის მონაცემები (მათ შორის, მის მიერ ნებისმიერ ეტაპზე მოწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია) შესაძლოა გაუზიაროს იმ საჯარო/კერძო ორგანიზაციას/ ფიზიკურ პირს, რომლის წინააღმდეგ არის შემოტანილი შეტყობინება. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საჭიროების შემთხვევაში, საქმის შესწავლის ფარგლებში, მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია შესაძლოა გამოითხოვოს მესამე პირისაგან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ტრენინგზე რეგისტრაციის პროცესში შეგროვებული მონაცემები მუშავდება ტრენინგზე დასწრების მსურველ პირთა იდენტიფიცირებისა და ტრენინგის ჩატარება/დასწრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათთან კომუნიკაციის მიზნით. ამასთან, აღნიშნული მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ტრენინგის ჩატარებამდე, ასევე მისი დასრულების შემდგომ, ტრენინგის მონაწილეებისთვის სხვადასხვა სახის მასალების გაზიარების, ჩატარებული ტრენინგის ხარისხის კვლევის, შეძენილი ცოდნის შესამოწმებლად საჭირო აქტივობების ორგანიზების, სერტიფიკატების დამზადებისა და გადაცემის, ისევე როგორც, სამსახურის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის წარმოების პროცესში შეგროვებული პერსონალური მონაცემები მუშავდება ფაილურ სისტემათა კატალოგთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან კომუნიკაციის მიზნით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ შეტყობინებაზე სამსახურის მიერ რეაგირების პროცესში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვებგვერდის მეშვეობით ხდება დამატებითი მონაცემების შეგროვება. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სერვერზე ფიქსირდება ვებგვერდზე შესვლის თარიღი, საათი და მეთოდი, ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, რეფერალი და ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი სხვა მონაცემები. ისინი მუშავდება შესაძლო ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენის მიზნით, რაც საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონიერი ინტერესის დასაკმაყოფილებლად - მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ელექტრონული სისტემების მთლიანობის უზრუნველყოფისა და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის.

მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია კონფიდენციალურია. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მომხმარებლის მონაცემებს მესამე პირებს არ გადასცემს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით (იხ.რა მონაცემებს ვაგროვებთ და რატომ?);

- სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით (როცა ხდება სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოსთვის მასალების წარდგენა).

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავება

მონაცემები მუშავდება მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მიზნებისათვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების გათვალისწინებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონაცემებს ამუშავებს დამოუკიდებლად და დღეის მდგომარეობით ამ პროცესში არ იყენებს სხვა უფლებამოსილი (მესამე) პირების მომსახურებას. თუმცა, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მომსახურების გაწევის პროცესში, შესაძლოა, მოხდეს სამსახურის უფლებამოსილი პირ(ებ)ისათვის მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება ან/და მათთვის წვდომის უფლების მინიჭება (მაგალითად, ვებგვერდის განახლების ტექნიკური სამუშაოების შესრულების ფარგლებში). ასეთ შემთხვევაში, მონაცემების გამჟღავნება/მათზე წვდომის უფლების მინიჭება მოხდება მხოლოდ სამსახურსა და შესაბამის უფლებამოსილ პირს შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უფლებამოსილი პირის ვალდებულება - მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მიზნებით, ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების მხედველობაში მიღებით.

სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემების გადაცემა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას არ გადაეცემა.

მონაცემების შენახვა და უსაფრთხოება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინების მიღების პროცესში, ვებგვერდის მიერ მომხმარებელთან დაკავშირებით, შეგროვებული მონაცემები ინახება 3 წლის ვადით.(1)

ტრენინგზე რეგისტრაციის პროცესში, ვებგვერდის მიერ მომხმარებელთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემები ინახება 1 წლის ვადით,(2) ხოლო ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებაზე, განახლებასა და ელექტრონული ფორმით ინსპექტორისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებული მონაცემები, აღნიშნული ინფორმაციის განახლებიდან 1 წლის ვადით.

მომხმარებელთა აქტივობის შესახებ მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებსერვერზე გროვდება და ინახება 1 წლის ვადით.(3)

მონაცემთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. ვებგვერდზე მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები (მაგალითად, მიმდინარეობს შეღწევადობის ტესტირებები, მონაცემებზე წვდომის დონეები განსაზღვრულია შესაბამისი სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით და ა.შ.).

(1)გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, აღნიშნული ვადა აითვლება სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ;
(2)აღნიშნული ვადა აითვლება ტრენინგის ჩატარების შემდგომ;
(3)აღნიშნული ვადა აითვლება მომხმარებლის მიერ ანგარიშის წაშლის/ბოლო აქტივობის დაფიქსირების შემდგომ.

მომხმარებლის უფლებები

მომხმარებელს უფლება აქვს:

- მოითხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე - მომხმარებელს შეუძლია, მოითხოვოს შემდეგი ინფორმაცია: რა მონაცემები მუშავდება მის შესახებ; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი (უკანასკნელი ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ მონაცემები, კანონის თანახმად, საჯაროა).

  ამასთან, მომხმარებელს უფლება აქვს გაეცნოს სამსახურში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს მათი ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;

- მოითხოვოს მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება - მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არის არასრული, არაზუსტი, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

- თანხმობაზე უარი - მომხმარებელს უფლება აქვს, განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი);

- გასაჩივრების უფლება - თუ მომხმარებელი მიიჩნევს, რომ სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ წესებს, შეუძლია მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;
- ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტისა (მომხმარებლის) და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

შესაბამისი შეზღუდვის ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

ზემოთ მითითებული საფუძვლების არსებობისას, სამსახურის გადაწყვეტილება მომხმარებელს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

ვებგვერდით მოწოდებული პერსონალური მონაცემების წაშლისათვის, გთხოვთ, მოგვწეროთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ელ. ფოსტაზე: office@pdps.ge.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის განახლება და დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

დამატებით ინფორმაციასა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საკონტაქტო მონაცემებს შეგიძლიათ გაეცნოთ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე - https://personaldata.ge/ka/contact